სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი **2015 წლის 5 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. სოსიაშვილი თათია 5. გოდერძიშვილი ლია 6. ხომერიკი რამაზი 7. მაჭავარიანი ლია 8. გეგეჭკორი არნოლდი 9. ხაჩიძე მანანა 10. ბახტურიძე პაატა 11. კვირიკაშვილი ბახვა 12. კუპრაძე ირაკლი 13. იმნაძე პაატა 14. მარგველაშვილი ვლადიმერი 15. ოკრიბელაშვილი ნინო 16. გიორგაძე გიორგი 17. წერეთელი მარი 18. შამილიშვილი მანანა 19. ლორთქიფანიძე ლევანი 20. საბაური შალვა 21. ჟვანია ირინე 22. ლორია კახაბერი 23. გორდეზიანი ლევანი 24. გელოვანი ნანი 25. თაბუაშვილი აპოლონი 26. ბრაჭული ირაკლი 27. ოთხმეზური გიორგი 28. მინდიაშვილი თეონა 29. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. ქურდაძე რამაზი 3. გერსამია მარიამი 4. ცერცვაძე თენგიზი 5. გალდავა გიორგი 6. კოპალეიშვილი მაია 7. სურგულაძე ნუგზარი 8. სამსონია შოთა 9. ომანაძე როლანდი 10. სილაგაძე ავთანდილი 11. მარშავა ქეთევანი 12. ჭკუასელი ქეთევანი 13. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილებების დამტკიცება
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მილების შეცვლა-განახლებაზე თანხმობის გაცემა
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების ცვლილებების დამტკიცება
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების ცვლილებების დამტკიცება
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულების ცვლილებების დამტკიცება
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის საკონკურსო პირობის განხილვა
7. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი. მისი განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დაზუსტების გამო აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ, თსუ-ს 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილება შემოსავლების ნაწილში განპირობებულია საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, სხვადასხვა ღონისძიების დასაფინანსებლად დამატებით თანხებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან „უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსის, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტების სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, უნივერსიტეტის მოდულური პროგრამების განსახორციელებლად საჭირო ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შესაძენად ასიგნებების გამოყოფით. კვლევითი ინსტიტუტებიდან, ფაკულტეტებიდან და სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი ცვლილებები, თანხების მუხლიდან მუხლში გადატანის თაობაზე, ასევე, წარჩინებული დოქტორანტების (ყოველი ფაკულტეტიდან 5-5 საუკეთესო დოქტორანტი) სწავლის დაფინანსებისათვის, უნივერსიტეტში სასადილოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების მიზნით საჭირო თანხები და ა.შ. შესაბამისად აისახა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. ამდენად, უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში განისაზღვრა 89 128 705 ლარით, ხოლო გადასახდელების ნაწილში (მთლიანი ასიგნებანი) - 88 822 832 ლარით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან ლორთქიფანიძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილებები. (დანართი 3)

2. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მილების შეცვლა-განახლებაზე თანხმობის გაცემის საკითხი. მისი განმარტებით, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის (ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ. 3/5) მომიჯნავე ტერიტორიაზე (ჭირნახულის ქ. 5/7) მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და მილებს ცვლიან. სამუშაოების დასრულებისათვის აუცილებელია ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული მილების შეცვლაც. მომიჯნავე ტერიტორიის მესაკუთრე სარემონტო სამუშაოებისათვის ითხოვს თანხმობას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ. 3/5) არსებული მილების გამოცვლის თაობაზე.

3. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმოადგინა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების ცვლილებების პროექტი. მისი განცხადებით, ბიბლიოთეკაში იქმნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრი-ბიბლიოთეკა, რომელიც პირველი რესპუბლიკის პერიოდის მასალებს გააერთიანებს და დაამუშავებს.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, რომ მსგავსი ცენტრი აუცილებელია არსებობდეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი მნიშვნელოვან ანალიზსა და კომპლექსურ კვლევას საჭიროებს. ამასთან, პირველი რესპუბლიკის მოღვაწეთა შთამომავალმა, ბატონმა ტიერი ბერიშვილმა უნივერსიტეტს უნიკალური საარქივო და საბიბლიოთეკო მასალა გადასცა, რომელსაც, სავარაუდოდ, მომავალში სხვა დოკუმენტებიც დაემატება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი შალვა საბაური დაინტერესდა, თუ რა რაოდენობის პერსონალი დასჭირდება ახალ სტრუქტურულ ერთეულს. იმ ფონზე, როდესაც

უნივერსიტეტის შემოსავალი ძალიან მწირია, შტატები კი - „გაბერილი“, ამასთან, ბევრი ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხასიათის პრობლემა არსებობს, მიზანშეწონილი არაა დამატებითი თანამშრომლების აყვანა.

ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა განაცხადა, რომ ცენტრს ორი თანამშრომელი მაინც დასჭირდება. საბიბლიოთეკო საქმიანობა სერიოზულ დატვირთვასთანაა დაკავშირებული, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი რაოდენობის თანამშრომელი. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკას არა ჰყავს საკმარისი პერსონალი და არათუ ბევრია დასაქმებული, შესაძლებლობის ფარგლებში აუცილებელია კადრების დამატება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ლევან გორდეზიანმა, გიორგი ოთხმეზურმა, ლევან ლორთქიფანიძემ, აპოლონ თაბუაშვილმა, ირაკლი ბრაჭულმა, შოთა შაბურიშვილმა, შალვა საბაურმა, აკადემიური საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - მარიამ გერსამიამ და მაია კოპალეიშვილმა. მსჯელობის შედეგად, დაზუსტდა ცენტრის ოფიციალური სახელწოდება, შემოთავაზებული ვერსიიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „პირველი“ და დაემატა მითითება წლებზე - (1918-1921 წწ.). ასევე, დაზუსტდა ცენტრის ფუნქციები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28

წინააღმდეგი: 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი ოთხმეზურმა.

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების ცვლილებები (დანართი 4)

4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების ცვლილებების პროექტი. მისი განცხადებით, ცვლილებები ეხება ფაკულტეტზე არსებულ ფილოსოფიის ინსტიტუტს, რომლის კათედრების რაოდენობა და სტრუქტურა შეიცვალა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფილოსოფიის ინსტიტუტის ინიციატივით. აღნიშნული საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების ცვლილებები (დანართი 5)

5. იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ ზარანდიამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო იურიდიული ფაკულტეტის დებულების ცვლილებების პროექტი. ქალბატონი თამარ ზარანდიას განმარტებით, ცვლილებებით დებულებაში აისახება სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წესი, ასევე, იქმნება თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულების ცვლილებები (დანართი 6)

6. რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო უნივერსიტეტის ჰიმნის კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია. რექტორის განცხადებით, გაიმართა კონსულტაცია და შეხვედრა სახელოვნებო, სამუსიკო წრეების წარმომადგენლებთან. მართალია, უნივერსიტეტის სურვილი იყო, რომ ჰიმნის კონკურსში პრიზად რაიმე თანხა არ დაწესებულიყო, თუმცა სახელოვნებო წრეების წარმომადგენლების რჩევით, აჯობებს, თუკი მაინც დაწესდება საპრიზო ფონდი 5000 ლარის ფარგლებში, რათა კონკურსში კვალიფიციურმა მუსიკოს-შემსრულებლებმა მიიღონ მონაწილეობა. თუკი წარმომადგენლობითი საბჭო გადაწყვეტს, რომ საპრემიო თანხა დაწესდეს, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოყოფს შესაბამის რესურსს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა რამაზ ქურდაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ლევან ლორთქიფანიძემ და ირაკლი ბრაჭულმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს რეკომენდაცია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის კონკურსში 5000 ლარის ოდენობით საპრემიო თანხის დაწესების თაობაზე.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან ლორთქიფანიძემ სხდომის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია აკადემიურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარვეზებისა და პრობლემების შესახებ. ასევე, აღინიშნა, რომ პროფესორთა ნაწილი ხშირად ცვლის ცხრილს, რაც ქაოსს იწვევს, ფაკულტეტებს შორის კომუნიკაცია ჭირს და პრობლემებია აუდიტორიებთან დაკავშირებითაც.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, რომ ამ პრობლემების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უკვე იცის და შექმნილია სპეციალური კომისია რექტორის მოადგილის, ბატონ იოსებ სალუქვაძის ხელმძღვანელობით. კომისიამ 5 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს მოსაზრებები მსგავს პრობლემებთან დაკავშირებით. ფაკულტეტებს შორის კოორდინაციის თაობაზე კი საკითხი აუცილებლად დაისმება ოქტომბერში დეკანებთან გასამართ შეხვედრაზე. მე-3 კორპუსის რემონტი გაისად იგეგმება, რაც აუდიტორიების პრობლემურ საკითხს გადაწყვეტს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი ოთხმეზურმა განაცხადა, რომ მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ხელფასები საუნივერსიტეტო მასშტაბით ყველაზე დაბალია და აუცილებელია ეს უთანასწორობა აღმოიფხვრას. ბატონი გიორგი ოთხმეზური, ასევე, დაინტერესდა უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის მუშაობითა და იმ აპარატურით, რომელიც ცენტრს აშშ-ის საელჩოს დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გადაეცა.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ განმარტა, რომ წელს პირველად მედიცინის ფაკულტეტის შემოსავლები და ხარჯვითი ნაწილი დაბალანსებულია. მორფოლოგიის ინსტიტუტის გარემონტების შემდეგ, რომელშიც ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აუდიტორიებია, იგი მეტი სტუდენტის მიღებას შეძლებს. აქცენტი გაკეთდება უცხოელ სტუდენტებზე. მიღებული შემოსავლები აუცილებლად აისახება აკადემიური პერსონალის ანაზღაურებაზე. რაც შეეხებაა მულტიმედია ცენტრის აპარატურას, იგი აქტიურად გამოიყენება როგორც სწავლების პროცესში, ისე უნივერსიტეტის შესახებ გადაცემების მომზადებისას.

საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2015 წლის 5 ოქტომბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- აბესაძე ნინო

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი

- ხომერიკი რამაზი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეგაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2015 წლის 5 ოქტომბერი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- გოგსაძე გიორგი
- გერსამია მარიამი
- ცერცვაძე თენგიზი
- გალდავა გიორგი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- სამსონია შოთა
- ომანაძე როლანდი
- სილაგაძე ავთანდილი
- მარშავა ქეთევანი
- ჭკუასელი ქეთევანი
- აბაშიძე თამარი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი

დასახელება	ლარი
● ნაშთი	**21124963**
მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	13370912
მათ შორის: ნაშთი (ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების)	3637252
მათ შორის: ნაშთი (საერთაშორისო გრანტების)	2159242
მათ შორის : ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება (ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტისათვის)	1957557
● შემოსავლები	**68003742**
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან);	47489250
მათ შორის; უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში-სომეხი სტუდენტების დაფინანსება	27750
მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან	337838
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	11243020
მათ შორის :საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ,, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების სწავლის დაფინანსება''	27725
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სახელმწიფო სტიპენდია), პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან,,ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია"'	1156000
მათ შორის : სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად.	1283818
მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	4167091
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	2271250
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით	**89128705**
გადასახდელები ნაერთი	**ლარი**

სულ ასიგნება (I+II)	88822832
I ხარჯები	82476564
● შრომის ანაზღაურება	39629527
● საქონელი და მომსახურება	34110693
● სუბსიდიები	3086081
● გრანტები	150000
● სხვა ხარჯები	5500263
II არაფინანსური აქტივების ზრდა	6346268
ნაშთი პერიოდის ბოლოს	305873
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	60659115
I ხარჯები	59327715
● შრომის ანაზღაურება	31586835
● საქონელი და მომსახურება	24406744
● სუბსიდიები	56750
●გრანტები	150000
● სხვა ხარჯები	3127386
II არაფინანსური აქტივების ზრდა	1331400
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	11243020
I ხარჯები	10123920
● შრომის ანაზღაურება	8042692
● საქონელი და მომსახურება	2081228

II არაფინანსური აქტივების ზრდა	1119100
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I)	1156000
I ხარჯები	1156000
● სხვა ხარჯები	1156000
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება-1.,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად''. 2. ,, პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდის'' ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (II)	3606938
I ხარჯები	501778
● სუბსიდიები	501778
II არაფინანსური აქტივების ზრდა	3105160
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	7804343
I ხარჯები	7557471
● საქონელი და მომსახურება	7557471
II არაფინანსური აქტივების ზრდა	246872
მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	4353416
I ხარჯები	3809680
● საქონელი და მომსახურება	65250
● სუბსიდიები	2527553
● სხვა ხარჯები	1216877
II არაფინანსური აქტივების ზრდა	543736

,, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილი სხდომის ოქმით N3 დამტკიცებული) დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში:

ა) დებულების **მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,თ“ ქვეპუნქტი:**

,, თ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა“.

ბ) დებულების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 და მე-20 პუნქტები:

,,19. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელ ცენტრ-ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს გამგე, რომელსაც, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

20. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის გამგის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) ცენტრ-ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე ან ცენტრ-ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ცენტრ-ბიბლიოთეკის ერთ–ერთი თანამშრომელი“.

გ) დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

,,12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ცენტრი-ბიბლიოთეკის ფუნქციებია:

ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შექმნილი საბიბლიოთეკო–საარქივო დოკუმენტების მოძიება, შენახვა, შესწავლა–დამუშავება;

ბ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ პუბლიკაციების, საგანმანათლებლო-სამეცნიერო მასალების მოძიება, დამუშავება, შენახვა;

გ) საბიბლიოთეკო–საარქივო ფონდების აღწერა, შესწავლა და სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა;

დ) გამოფენების, პუბლიკაციებისა და გამოცემების მომზადება;

ე) ელექტრონულ კატალოგში საბიბლიოთეკო დოკუმენტების მონაცემების შეტანა“.

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 2014 წლის 26 ივნისის N3 და 2014 წლის 9 ოქტომბრის N6 სხდომის ოქმებით დამტკიცებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

თსუ ჰუმანიტრაულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 29 ივნისის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე შევიდეს ცვლილება თსუ ჰუმანიტრაულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოქმედ დებულებაში. კერძოდ:

1.დებულების 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის ,,მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მ) ფილოსოფიის ინსტიტუტში:

- მ.ა) ფილოსოფიის ისტორიის კათედრა
- მ.ბ) თეორიული ფილოსოფიის კათედრა
- მ.გ) პოლიტიკური ფილოსოფიის კათედრა
- მ.დ) ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის კათედრა
- მ.ე) ეთიკისა და რელიგიის ფილოსოფიის კათედრა
- მ.ვ) ანთიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიურ-თეოლოგიური კვლევის ცენტრი

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების სხვა ნაწილი დარჩეს უცვლელი.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი

შევიდეს ცვლილებების სიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულებაში:

ა) დებულების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მაგისტრატურაში მიღების წესი და წინაპირობები კანონმდებლობისა და სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად განსაზღვრულია წინამდებარე დებულებით.“

ბ) დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე–19[1] და მე–19[2] მუხლები:

„მუხლი 19[1]. სამაგისტრო პროგრამის კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები, საბუთების ნუსხა და მიმღები კომისია

1. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის, საერთაშორისო სამართლის, ევროპისმცოდნეობისა და მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება უცხო ენასა და სპეციალობაში გამოცდის საფუძველზე. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის საგამოცდო ცენტრი. წერილობითი გამოცდის გარდა, ევროპისმცოდნეობისა და მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა გასაუბრება. საჯარო მმართველობის პროგრამაზე დაშვება ხორციელდება სპეციალობაში ჩატარებული უცხო ენაზე გასაუბრების საფუძველზე.
2. საბუთების ნუსხა და მიღების ვადას განსაზღვრავს თსუ-ის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საბუთების მიღება იწარმოება იურიდიული ფაკულტეტის მიმღები კომისიის მიერ.
3. იურიდიული ფაკულტეტის მიმღებ კომისიასთან დადგენილ ვადაში სათანადო საბუთების წარმოდგენის საფუძველზე კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები არიან:
   ა) სამართლის და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე განმცხადებელი; საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე სამართლის, ეკონომიკის, ისტორიის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერების დარგში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე განმცხადებელი; ევროპისმცოდნეობისა და მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამებზე სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე განმცხადებელი.
   ბ) საზღვაგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი აკადემიური ხარისხის დოკუმენტების ფორმალური ცნობის მქონე განმცხადებელი, რომლის აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება.

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლის ჩარიცხვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად ხორციელდება.

4. მიმღები კომისია ვალდებულია დადგენილ ვადაში მიიღოს საბუთები და შეამოწმოს მისი შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან; ამასთანავე, შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

მუხლი 19². საკონკურსო გამოცდა უცხო ენასა და სპეციალობაში, საგამოცდო შედეგების გასაჩივრება, პროგრამაზე ჩარიცხვა, საფასური

1. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებისათვის საჭიროა პროგრამით განსაზღვრულ შიდა გამოცდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა (51%). სამართლის, საერთაშორისო სამართლის, ევროპისმცოდნეობის, მიგრაციის მართვისა და საჯარო მმართველობისა სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია თითოეული (აკრედიტებული) სამაგისტრო პროგრამით ცალკეულად.
2. უცხო ენის გამოცდიდან გათავისუფლდება მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 საფეხურის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის დამოწმებულ ასლს ან/და უცხოეთში არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადატურებელ საბუთს.
3. უცხო ენის გამოცდიდან გათავისუფლებული კონკურსანტი უფლებამოსილია გავიდეს უცხო ენის მისაღებ გამოცდაზე. ასეთ შემთხვევაში კანდიდატს შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი.
4. სპეციალობის გამოცდაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ნაშრომებს ამოწმებს საგამოცდო კომისია, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება იურიდიული ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. უცხო ენის გამოცდის ტესტის მომზადებაზე, ნაშრომების გასწორებაზე, სერთიფიკატის საფუძველზე გათავისუფლებულ კონკურსანტთა შეფასების კონვერტაციაზე პასუხისმგებელია თსუ-ის უცხო ენათა ცენტრი.
6. მაგისტრანტობის კანდიდატი უფლებამოსილია საგამოცდო შედეგის გამოქვეყნებიდან ორი დღის ვადაში განცხადებით მიმართოს თსუ-ის საგამოცდო ცენტრს, გაეცნოს საგამოცდო ნაშრომს ან/და მოითხოვოს გამოცდის შედეგის გადასინჯვა. საჩივრების განხილვის მიზნით, იურიდიული ფაკულტეტი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დასამტკიცებლად რექტორს წარუდგენს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას.
7. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც დადებითი შედეგით ჩააბარებს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ გამოცდებს, რანჟირებული ქულით მონაწილეობს მისაღებ კონკურსში, რომლის გადალახვის შემთხვევაშიც მას ეძლევა უფლება, გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია განსაზღვრულ ვადაში, რის საფუძველზეც მოხდება შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე მისი ჩარიცხვა.
8. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა ფასიანია. სამართლის, საერთაშორისო სამართლისა და მიგრაციის მართვის საფასური განისაზღვრება თითოეული სასწავლო წლისათვის დადგენილი

საუნივერსიტეტო ტარიფის შესაბამისად. ევროპისმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამების საფასური განსაზღვრულია თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად.“

გ) მე–20 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი“